**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 22 ივლისის №03-702 ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ნინო ჟვანიას 2014 წლის 11 აგვისტოს №03-19018/14 და 13 აგვისტოს №03-19314/14 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით

**ვბრძანებ**

1.შევიდეს დამატება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014–2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მაგისტრატურის საფეხურზე მიღების გამოცხადების, სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციის ვადების, საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ" რექტორის 2014 წლის 22 ივლისის №03-702 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართში და დაემატოს „ადიქციის კვლევების" სამაგისტრო პროგრამა პირველ დანართში მითითებული მონაცემების შესაბამისად;

2. შევიდეს ცვლილება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014–2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მაგისტრატურის საფეხურზე მიღების გამოცხადების, სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციის ვადების, საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ" რექტორის 2014 წლის 22 ივლისის №03-702 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართში და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის შუა საუკუნეების კვლევების სამაგისტრო პროგრამა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების ისტორია, რელიგია)" (დანართი 2);

3. შევიდეს ცვლილება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014–2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მაგისტრატურის საფეხურზე მიღების გამოცხადების, სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციის ვადების, საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ“ რექტორის 2014 წლის 22 ივლისის №03-702 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართში, კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამის ნაწილში და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების მესამე დანართის შესაბამისად;

4.მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, სამართლის სკოლას და უნივერსიტეტის სამდივნოს დაევალოთ ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

5. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, უზრუნველყოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის;

6.დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, სამართლის სკოლას, ბიზნესის სკოლას, საინჟინრო ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე ირინა ბაზღაძეს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურსა და უნივერსიტეტის სამდივნოს.

**რექტორი**
**გიგა ზედანია**